სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №

ქ. თბილისი

N 21-03
10/07/2015

2015-2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების ფაკულტეტიდან/სკოლიდან ფაკულტეტზე/სკოლაში, ცალკე მიღების მქონე პროგრამიდან საერთო მიღების მქონე პროგრამაზე, სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკულ საბაკალავრო პროგრამებზე გადასვლის (შიდა მობილობის) ვადების დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" წესდების მე-18 მუხლის მეექვსე პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის მეორე მუხლის მე-4 პუნქტის, მეოთხე მუხლის მე-3 პუნქტისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 16 ივნისის N7 სხდომაზე დამტკიცებული ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის მარეგულირებელი წესის მეხუთე მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2015-2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის შიდა მობილობის-ფაკულტეტიდან/სკოლიდან ფაკულტეტზე/სკოლაში ან ცალკე მიღების მქონე პროგრამიდან საერთო მიღების მქონე პროგრამაზე, სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკულ საბაკალავრო პროგრამებზე გადასვლის - შესახებ სტუდენტთა მიერ განცხადებების დაწერის ბოლო ვადად განისაზღვროს 2015 წლის 7 აგვისტო;

2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკული საბაკალავრო პროგრამებზე(ელექტრული ინჟინერია; კომპიუტერული ინჟინერია) შიდა მობილობა შესაძლებელია იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც სწავლობენ

მეცნიერების, ტექნოლოგიების, ინჟინერიის, მათემატიკის პროგრამებზე და ასევე სხვა მიმართულებებზე შემდეგი წინაპირობების დაცვით:

ა) მაღალი აკადემიური მოსწრება მიმდინარე პროგრამაზე და საშუალო წლიური შეწონილი ქულა (GPA) არის 2.5 და მეტი;

ბ) მაღალ დონეზე ფლობენ ინგლისურ ენას და შეუძლიათ წარმოადგინონ ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი ქვემოთ ჩამოთვლილი, რომელიმე საბუთი:

- ერთიანი ეროვნული გამოცდის ქულა ინგლისურ ენაში: 59%+1;
- TOEFL - მინიმალური ქულა: IBT 70, PBT 523;
- IELTS - მინიმალური ქულა 6.0;
- ინგლისურ ენაში B2 და მეტი ცოდნის დონის დამადასტურებელი სხვა სერტიფიკატი.

3. სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამებზე, რომელიც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ხორციელდება, შიდა მობილობით გადასულ სტუდენტებს უღიარდებათ გავლილი პროგრამიდან მაქსიმუმ 30 კრედიტი.
4. სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ელექტრული ინჟინერიისა და კომპიუტერული ინჟინერიის საბალაკავრო პროგრამებზე, რომელიც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ხორციელდება, შიდა მობილობით პროგრამაზე გადასულ სტუდენტებს ჩაუტარდებათ გამოცდა მათემატიკაში(ინგლისურ ენაზე) ცოდნის დონის დადგენისა და შესაბამის ჯგუფში განაწილების მიზნით.
5. სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამებზე, რომელიც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ხორციელდება, ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი, აფხაზურენოვანი და ოსურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე ჩარიცხული სტუდენტებისათვის შიდა მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია მხოლოდ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ ამ ბრძანების მეორე პუნქტის ბ) ქვეპუნტისა და მეოთხე პუნქტში მითითებული წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში.
6. სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამებზე, რომელიც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ხორციელდება, სწავლის ერთი წლის ღირებულებაა 7500 (შვიდი ათას ხუთასი) დოლარის ექვივალენტი ლარებში, შიდა მობილობით გადასულ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მოიპოვონ ნაწილობრივი თანადაფინანსება 50 პროცენტამდე,

ხოლო ამ ბრძანების მეხუთე პუნქტით განსაზღვრულ სტუდენტებს სრული -100 პროცენტიანი ან ნაწილობრივი (75%, 50%, 25%) თანადაფინანსება.

7. შიდა მობილობის შესახებ განცხადებების განხილვისა და შესაბამისი დასკვნების სტუდენტთათვის გაცნობის და მათი მხრიდან დასკვნებზე ხელმოწერის ბოლო ვადად განისაზღვროს 2015 წლის 4 სექტემბერი;

8. შიდა მობილობის შესახებ განცხადებების განხილვისა და შესაბამისი დასკვნების იურიდიული სამსახურისათვის წარდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2015 წლის 7 სექტემბერი;

9. უნივერსიტეტის იურიდიული სამსახურის მიერ შიდა მობილობის შესახებ ბრძანების მომზადების ბოლო ვადად განისაზღვროს 2015 წლის 10 სექტემბერი;

10. დაევალოს უნივერსიტეტის ფაკულტეტებსა და სკოლებს არგუსსა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ერთიანი სტუდენტური რეესტრის მონაცემთა ბაზაში შიდა მობილობის შედეგების ასახვა შიდა მობილობის შედეგების შესახებ ბრძანების გამოცემიდან 3 დღის ვადაში;

11. შიდა მობილობის შედეგების განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისათვის წარდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2015 წლის 24 სექტემბერი;

12. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში შიდა მობილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ იმ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებაზე, რომელსაც შეესაბამება მის მიერ ჩაბარებული საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპი;

13. შიდა მობილობის პროცესზე პასუხისმგებელ პირებად განისაზღვრონ შესაბამისი ფაკულტეტების/სკოლების დეკანები;

14. ფაკულტეტების/სკოლების დეკანებს დაევალოთ ფაკულტეტებზე/სკოლებში შექმნან ჯგუფი, რომელიც მოახდენს შიდა მობილობის პროცესის უზრუნველყოფას;

15. ფაკულტეტებს/სკოლებს დაევალოთ უზრუნველყონ ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის;

16. არგუსის კოორდინატორს ცენტრალურ დონეზე, ირინა ბაზღაძეს დაევალოს ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემა ,,არგუსი“-ს საშუალებით;

17. ფაკულტეტებს/სკოლებს დაევალოთ უზრუნველყონ შიდა მობილობის პროცესში მონაწილე სტუდენტთა თავსებადობის დასკვნების მიწოდება არგუსის

კოორდინატორის - ირინა ბაზღაძისათვის, შიდა მობილობის შედეგების ბრძანების გამოცემიდან სამი სამუშაო დღის ვადაში.

18. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის საჯარო წესით გაცნობა.
19. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს უზრუნველყოს ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის ყველა შესაძლო საშუალებით;

20. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას, ეს ბრძანება გააცნოს ფაკულტეტებს/სკოლებს, საფინანსო და აღრიცხვა-ანგარიშის დეპარტამენტებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რექტორის აპარატს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, აკადემიური ურთიერთობების კოორდინატორს- ნინო ფანცულაიას, საგარეო ურთიერთობების სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და არგუსის კოორდინატორს ცენტრალურ დონეზე - ირინა ბაზღაძეს.

გიგა ზედანია

რექტორი